„სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის“ დასკვნა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებული იქნას:

1.ქალთა ეკონომიკური გაძლიერების (05 05 02) თანხა გაიზარდოს 30 000 ლარამდე, აქედან 10 000 ლარი განისაზღვროს ШШმ პირთა დედების მიერ წარმოდგენილი მცირე პროექტების დასაფინანსებლად. 2023 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული იყო 5 000 ლარი, მაგრამ პროგრამის საჭიროებიდან და ბენეფიციართა რაოდენობიდან გამომდინარე საჭირო გახდა ბიუჯეტში ცვლილება და ხარჯი შეადგენდა 9 000 ლარზე მეტს. შესაბამისად საჭიროა ბიუჯეტის მოცულობა გაიზარდოს 10 000 ლარამდე.

2.ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მხარდამჭერი კონკურსის ჩასატარებლად 2024 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული უნდა იქნას 20 000 ლარი. კონკურსის აქტუალობიდან გამომდინარე და წარმოდგენილი ხარისხიანი პროექტებიდან გამომდინარე, რომელთა დაფინანსებაც ვერ მოხერხდა მცირე ბიუჯეტის გამო, დადგა საჭიროება, რომ კონკურსის ბიუჯეტი 2024 წელს გაიზარდოს 20 000 ლარამდე, მეწარმე ქალთა მხარდაჭერის გაძლიერების მიზნით.

3.05 00 პროგრამული კოდის დასახელებებში ტექნიკური უზუსტობაა ყველგან დასათაურება უნდა იყოს ამ ფორმით: „კულტურა, რელიგია, გენდერული თანასაწორობა, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები

სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის“ დასკვნა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დაბა ბახმაროს ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე „ბაზრის დაღმართის“ ქუჩისთვის სახელის გადარქმევისა და ბეგი მამალაძის სახელის მინიჭების შესახებ გამონაკლისის დაშვების მიზანშეწონილობის თაობაზე.

კომისიამ განიხილა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დაბა ბახმაროს ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე „ბაზრის დაღმართის“ ქუჩისთვის სახელის გადარქმევისა და ბეგი მამალაძის სახელის მინიჭების შესახებ გამონაკლისის დაშვების მიზანშეწონილობის თაობაზე განკარგულების პროექტი და მის მიმართ შენიშვნები არ გააჩნია.